

ერთი და იმავე სქესის პირების ურთიერთობის სამართლებრივი აღიარება -  
ვაკუუმი ქართულ კანონმდებლობაში

მარიამ კვარაცხელია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მელაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ კვარაცხელია

## აბსტრაქტი

დღეს მოქმედი კონსტიტუციის 36-ე მუხლი ქორწინებას მეუღლეთა თანასწორუფლებიანობასა და ნებაყოფლობაზე აფუძნებს მეუღლეთა სქესის დაკონკრეტების გარეშე. ახალი კონსტიტუციის მიხედვით, 36-ე მუხლი იცვლება იმგვარად, რომ ხდება მეუღლეთა სქესის მითითება, კერძოდ ცვლილების მიხედვით „ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა თანასწორობასა და ნებაყოფლობას“ (მუხლი 30. ქორწინების უფლება). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლი ქორწინებას მხოლოდ ქალისა და კაცის კავშირად აღიარებს, რითაც გამორიცხავს ერთიდაიმავე სქესის ადამიანების ურთიერთობის სამართლებრივ რეგულირებას ქორწინების სახით. ამასთანავე, საქართველოს კანონმდებლობა არ აღიარებს სამოქალაქო/რეგისტრირებული პარტნიორობის ინსტიტუტს, რითაც არსებული სამართლებრივი სისტემა სრულიად გამორიცხავს ერთი და იმავე სქესის მქონე ადამიანთა ურთიერთობას სამართლებრივი რეგულირებისგან.

სამართლებრივი რეგულირების მიღმა დატოვება ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა წყვილებს უთანასწორო პირობებში ამყოფებს ჰეტეროსექსუალ წყვილებთან შედარებით, რაც მათ ხელს უშლით ისარგებლონ უფლებებითა და ქორწინებასთან დაკავშირებული სიკეთეებით (მათ შორის, მემკვიდრეობის უფლება, ჩვენების მიცემის იძულების აკრძალვა, მოწმედ ყოფნაზე უარის თქმის უფლება, პენიტენციურ დაწესებულებაში პირის მონახულების უფლება, სამედიცინო სფეროში რეგულირებული პაციენტის ნათესავის უპირატესი უფლება – მონაწილეობა მიიღოს პირის სამედიცინო დახმარების აღმოჩენასთან ან მის სიკვდილთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში და სხვა).

ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს ქართულ კანონმდებლობაში, ერთი და იმავე სქესის წყვილთა ურთიერთობის აღიარების კუთხით არსებული სამართლებრივი ვაკუუმი როგორც პრობლემა. ნაშრომი გვთავაზობს სამართლებრივი არგუმენტებს თუ რატომ უნდა აღიაროს სახელმწიფომ ერთი და იმავე სქესის პირთა ურთიერთობა. ნაშრომი, ამავდროულად იკვლევს იმ უფლებათა შინაარსს, რომლებზე წვდომაც ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა წყვილებს საქართველოში ეზღუდებათ, მათი ურთიერთობის არ აღიარების გამო. საბოლოოდ კი, ნაშრომი მკითხველს

სთავაზობს სამოქალაქო/რეგისტრირებული პარტნიორობის ინსტიტუტის იმპლემენტაციას როგორც გამოსავალს და აღწერს მის შინაარსსა და ფორმებს.

**საძიებო სიტყვები:** ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილები, ქორწინება, სამოქალაქო პარტნიორობა, ლგბტ უფლებები, საქართველო.

## Abstract

Article 36 of the current Constitution establishes the marriage on equality rights and free will of the spouses without specifying the sex of the spouses. According to the new constitution, Article 36 now specifies the sex of the spouses, according to the amendment, "Marriage, as the union of men and women, for the purpose of creating a family is based on equality and free will of spouses" (Article 30. Right to marriage). Article 1106 of the Civil Code of Georgia recognizes marriage only as a union between men and women, thus same-sex relationships are excluded from the regulation of marriage. In addition, the Georgian legislation does not recognize the Civil / Registered Partnership Institution, thus the existing legal system completely excludes the relationship of persons with the same sex from legal regulation.

Leaving same-sex couples beyond the legal regulations creates unequal environment for them compared to heterosexual couples and prevents them to enjoy the rights and benefits of marriage (including the right to inheritance, prohibition of coercion to testify against the family member, the right to visit the person in the prison facility, to take part in making health-related decisions for the partner, etc.).

The purpose of this study is to examine the existing legal vacuum regards the recognition of the same sex couples' relationship in Georgian legislation. The paper offers legal arguments about why the state should recognize the same sex relations. The study, at the same time, examines the contents of the rights that the same sex couples are restricted in Georgia due to their recognition of their relationship. Finally, the study offers the reader the implementation of the Civil / Registered Partnership Institution as a problem solution and describes its character and forms.

**Key words:** Same-sex couples; Marriage, Civil partnertship, LGBT rights, Georgia